თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვდავყოფის მემორიალის ესკიზის და სკვერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2012

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება 3
2. საკონკურსო პირობები 5
3. ტექნიკური დავალება 9

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

1. <u>საკონკურსო განცხადება</u>

1.1. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია აცხადებს კონკურსს 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვდავყოფის მემორიალის ესკიზის და სკვერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

1.2. კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ქ. N1/3-ში მდებარე 761 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 05.21.07.008), სადაც აღმართული უნდა იყოს მონუმენტი, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვდავყოფის მემორიალის ესკიზის და სკვერის მოწყობის საუკეთესო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენა.

1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 20 000 (ოცი ათასი) ლარს;

1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (<u>http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39</u>);

1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, ს/კ 245576826);

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

1.9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 15 მარტს;

1.10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 20 მარტს, 15^{00} საათზე;

1.11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 20 მარტის 15^{00} საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის №25;

1.12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

1.13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;

1.14. საკონკურსო წინადადებები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ კონკურსში, მოთხოვ-ნისთანავე უბრუნდებათ კონკურსანტებს.

2. საკონკურსო პირობები

2.1. შეფასების კრიტერიუმები:

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) ვიზუალური ხარისხი და შინაარსობრივი დატვირთვა: კოეფიციენტი – 0.8;

ბ) საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.2;

გ) შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

დ) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

2.2. საკონკურსო წინადადების ფასი:

ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (20 000 ლარი), არ განიხილება;

დ) საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ფორმით:

N	მომსახურების დასახელება	საკონკურსო წინადადების ფასი
1	ესკიზის პროექტის შედგენა	
2	საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა	
3	სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	
	სულ	

2.5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.5.1. ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ერთ ეტაპად მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.5.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,3% პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 3% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

2.5.3. მომსახურების ვადა:

ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

2.5.4. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, ასევე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

2.5.5. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს, შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ ესკიზში ან/და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში. ასეთ შემთხვევაში გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია ესკიზი ან/და მისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადოს შემსყიდველის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით. გამარჯვებული პროექტი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გადადის თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

2.2.6. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის **2.5.** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.6. კონკურსანტმა უნდა უზრუველყოს:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- ტექნიკური დავალება, კონცეფცია, განმარტებითი ბარათი;
- საკონკურსო წინადადების ფასი, ვალუტა-ლარი;
- ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
  - კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება
  - საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
  - კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
  - ხელმძღვანელის სახელი, გვარი
  - კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.:
  - ელექტრონული მისამართი, E-mail:
  - ბანკის დასახელება
  - ბანკის კოდი
  - ანგარიშსწორების ანგარიში

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.7. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: ბაგრატ ხალვაში, ტელ: (0422) 27 26 18. წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25; პირველი სართული, მე-7 ოთახი; E mail: tender@batumi.ge.

3. <u>ტექნიკური დავალება</u>

3.1. ესკიზი

ა) ესკიზი წარმოდგენილი უნდა იქნეს 3D ფორმატში, ფერადი, დაბეჭდილი A3 ზომის ფურცელზე, ელექტრონული ვერსიით;

ბ) ესკიზის მომზადების დროს კონკურსანტი თავისუფალია როგორც სკვერის არქიტექტურულ-გეგმარებითი განაშენიანების მოწყობისას, ისე იქ განსათავსებელი მონუმენტის ფორმის და ზომის შერჩევის თვალსაზრისით, მაგრამ ვიზუალური და შინაარსობრივი დატვირთვით იგი აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და თავისუფლების ან/და მისთვის ბრძოლისა ან/და თავგანწირვის სიმბოლო, ამასთან, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს რელიგიური მოტივები;

გ) სკვერის და იქ განსათავსებელი მონუმენტის მთავარი ხედი ორიენტირებული უნდა იყოს მემედ აბაშიძისა და ზვიად გამსახურდიას ქუჩების გადაკვეთისკენ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დასაპროექტებელ სკვერსა და გოგებაშვილის ქუჩას შორის არსებულ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი შენობა-ნაგებობა;

დ) ესკიზი უნდა წარმოადგენდეს სივრცით კომპოზიციას, მასშტაბის თვალსაზრისით არ უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს განთავსების ადგილის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით;

ე) ესკიზი გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ-არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; გრაფიკული მასალების შესრულების მანერა - თავისუფალი;

ვ) ესკიზი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, შერეული ტექნიკა და სხვა).

3.2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

ა) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- სკვერისა და მონუმენტის ესკიზს;
- ტოპო გეგმას;
- არქიტექტურულ პროექტს;
- ხარჯთაღრიცხვას;
- განმარტებით ბარათს.

ბ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად;

გ) კონკურსანტმა შემსყიდველს უნდა გადასცეს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია დაბეჭდილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, CD დისკით. ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

მემორიალისა და ხეების განთავსების ადგილი